



ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტები

რეზიუმე

ლუარა გვაჯაია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

E-mail: luara.gvajia@mail.ru

ქეთევან შონია

ქუთაისის აწსუ-ს მოწვეული

მასწავლებელი

სტატიაში განხილულია ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტები, როგორც მართვის სუბიექტის მმართველობითი ზემოქმედების, გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციის ხერხები და საშუალებები. მართვის ინსტრუმენტები – ეს არის ყოველივე ის, რაც გამოიყენება მართვის სუბიექტის მიერ მიზნებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მართვის ობიექტზე ზემოქმედების პრაქტიკულად აღსრულებისათვის საჭირო პროცესების სამართავად.

განხილულია მართვის უნივერსალური და ლოკალური ინსტრუმენტები. მაკროეკონომიკურ დონეზე მართვის ძირითადი ინსტრუმენტებია საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. თავისი მნიშვნელობით ერთერთი პირველხარისხოვანია საკუთრების ფორმის შეცვლა წარმოების საშუალებებზე, ქონებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფოს მხრიდან ფასების რეგულირება ცალკეულ საქონელზე და სხვა. სტატიაში ასევე განხილულია მიკროეკონომიკურ დონეზე, როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული მართვის ინსტრუმენტები.

საკვანძო სიტყვები: ინსტრუმენტები, მართვა, ეკონომიკა, სუბიექტი, ობიექტი, ხერხები, საშუალებები, რეალიზაცია, ზემოქმედება, მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, ლოკალური, უნივერსალური, რეგულირება, საბაზრო ეკონომიკა, ფასები, რეკლამა.

შესავალი

ეკონომიკის მართვის პროცესი ხორციელდება მართვის კონკრეტული მეთოდების და ინსტრუმენტების საშუალებით. **მართვის მეთოდი** – ეს მართვის სუბიექტის მიერ თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად მართვის ობიექტზე მმართველობითი ზემოქმედების გზა და ხერხია. მაგრამ ეს არ არის საკმარისი მართვის სასურველი შედეგის მისაღებად, ვინაიდან მარტო მართვის ობიექტის ინფორმირება მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ვერ უზრუნველყოფს მის შესრულებას; ამისათვის საჭიროა მართვის სუბიექტის მხრიდან შესაბამისი პირობების შექმნა. საჭიროა გამოინახოს მმართველობითი ზემოქმედებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის საშუალებები, რასაც უწოდებენ **მართვის ინსტრუმენტებს**.

ჩვენი სტატიის მიზანია ნათლად წარმოვაჩინო

ნათ მართვის ინსტრუმენტების როლი და მნიშვნელობა დასახული ამოცანების, მიღებული გადაწყვეტილებების სწორად და დროულად შესრულების საქმეში. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა მმართველობითი ზემოქმედების დოკუმენტური გაფორმება (ბრძანება, გეგმა, ნორმა), მათი იურიდიული, სამართლებრივი გამაგრება მოქმედ წესებთან და ნორმებთან შესაბამისობით. ამასთანავე, ცნობილია, რომ არსებობენ მართვის საერთო, უნივერსალური ინსტრუმენტები კანონების, დებულებების, წესების, ნორმების, ინსტრუქციების სახით, რომლებიც განმტკიცებული არიან მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. მაგრამ რიც შემთხვევაში მართვის სუბიექტი მოვალეა შექმნას მართვის ლოკალური ინსტრუმენტი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად. ასეთ ინსტრუმენტებს გააჩნიათ დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების, განმარტებების, წახალისების, დასჯების, სანქციების, განხილვის შედეგების ფორმები და ისინი ემსახურებიან მმართველობითი გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებას. მართვის ლოკალური ინსტრუმენტები შეიძლება განხილული იქნეს როგორც კერძო ხასიათის ზემოქმედება, რომელიც განამტკიცებს უფრო მაღალი დონის და მნიშვნელობის მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულებას. მართვის ზოგადი (უნივერსალური) ინსტრუმენტები კი არსებითად არის უნივერსალური ზემოქმედებები, რომლებიც მთლიანობაში მოწოდებულია მართვის პროცესის უზრუნველყოფა-მხარდაჭერისათვის.

ძირითადი ტემსტი

მართვის ინსტრუმენტები – არის მართვის, მმართველობითი ზემოქმედებების, გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციის მხარდაჭერის, განმტკიცების და უზრუნველყოფის ხერხები და საშუალებები. მართვის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ყველაფერი ის, რაც გამოიყენება მართვის სუბიექ-



ტის მიერ მიზნების მისაღწევად, პრობლემების გადასაწყვეტად მართვის ობიექტზე ზემოქმედებას პროცესების მართვისათვის. სწორედ ინსტრუმენტების მეშვეობით ხდება მართვის რეალიზება. მართვის ინსტრუმენტები ეკონომიკაში თავისი მოქმედებით ტექნიკური ობიექტების სამართავად გამოყენებული ბერკეტების, სახელურების ანალოგიურია, ამიტომ მართვის ინსტრუმენტებს **მართვის ბერკეტებსაც** უწოდებენ.

მართვის ინსტრუმენტი არის შედარებითი ცნება, რომლის როლი და ადგილი განისაზღვრება ლოგიკური კვანძის სახით: **“მმართველობითი გადაწყვეტილება – გადაწყვეტილების რეალიზაციის ინსტრუმენტი”, ან “მმართველობითი ზემოქმედება – მმართველობითი ზემოქმედების განხორციელების ინსტრუმენტი”**. ეს ნიშნავს იმას, რომ მართვის ინსტრუმენტი იმავდროულად წარმოგვიდგება მმართველობით ზემოქმედებად. მაგალითად, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას ახალი პროდუქტის გამოშვების შესახებ, ამაგრებს მას პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო მასალის მოწოდების თაობაზე მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება გამოდის გადაწყვეტილების რეალიზაციის უზრუნველყოფი ინსტრუმენტის როლში. თუ ჩვენ განვიხილავთ ხელშეკრულების გაფორმებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესს, ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის მმართველობითი ზემოქმედება ხელშეკრულების სახით, ხოლო რეალიზაციის ინსტრუმენტად გვევლინება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ორივე მხარის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე სამეურნეო სუბიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება განიხილება, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკის მართვის უნივერსალური ფორმა და მეორეს მხრივ – როგორც კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტებს შორის სამეურნეო ურთიერთობათა მოწყობის ინსტრუმენტი.

მართვის ინსტრუმენტები მაკროეკონომიკურ დონეზე მოიცავს მთლიანად ქვეყნის ეროვნული მეურნეობის, რეგიონების, საწარმოო და სოციალურ-კულტურული სფეროს ეკონომიკის მართვის საშუალებებს. მართვის მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტებს შეუძლიათ მოახდინონ ზემოქმედება მიკროეკონომიკური დონის ობიექტებსა და პროცესებზე, მაგალითად, გადასახადები არის მაკროეკონომიკური მართვის ინსტრუმენტი, მაგრამ იგი ახდენს მმართველობით ზემოქმედებას ყველა გადასახადების გადამხდელ მიკროეკონომიკურ ობიექტზე სხვადასხვა სახით.

მაკროეკონომიკურ დონეზე მართვის ინსტრუმენტები ფართოდაა წარმოდგენილი პარლამენტის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სახით. ამ მხრივ მართვის მთავარი ინსტრუმენტია საქართველოს კონსტიტუცია, იგი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის მართვის ორგანოების ერთობლიობას, მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების ფორმებს და უფლებებს, მოქალაქეთა მონაწილეობას მართვაში, მოქალაქეთა საკუთრებით ფორმებს, შრომაზე, დასვენებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, საცხოვრებელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე, კეთილსასურველ გარემოზე უფლებებს, დადგენილი გადასახადების კანონიერად გადახდის მოვალეობას და ა.შ. ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე მართვის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის დადგენილებები, ბრძანებები, სახელმწიფო-მინობრივი პროგრამები, ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და სტრატეგიები, სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები, ტიპური დებულებები, წესდებები, ინსტრუქციები, ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებები სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე და ა.შ..

მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1 – **პირდაპირი რეგულირების** ინსტრუმენტები, რომელთაც მიეკუთვნება დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკის მართვის საშუალებები, მათი მიზანია ეკონომიკური ზრდის ტემპების, პროპორციების, ხვედრითი წონების, ფინანსური ურთიერთობების რეგულირება; 2 – **არაპირდაპირი რეგულირების** ინსტრუმენტები – მათ მიეკუთვნება საბაზრო თვითრეგულირება, ეკონომიკური სტიმულების და ბერკეტების (გადასახადები, ფასები, ტარიფები, საპროცენტო განაკვეთები) ზემოქმედება, ისინი ეკონომიკურ თეორიაში იწოდებიან მართვის ავტომატურ მარეგულირებლად.

თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთ პირველხარისხოვან როლს მაკროეკონომიკის მართვაში ასრულებს ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა, საკუთრების ფორმის შეცვლა წარმოების საშუალებებზე, ქონებაზე. ასეთ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაცია;
- კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია;
- სახელმწიფო და მუნიციპალური



საკუთრების გადაცემა სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანიზაციებზე სამეურნეო და ოპერატიულ მართვაში;

- სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების არენდით აღება არასახელმწიფო ორგანიზაციების და მათ შორის უცხოური ორგანიზაციების და პირების მხრიდან;

- ერთობლივი საწარმოების შექმნა საერთო საკუთრების საფუძველზე კაპიტალში აქციების სახელმწიფო პაკეტების და წილების არსებობისას;

- სახელმწიფო საკუთრების გადაცემა სატრასტო მმართველობაში.

ნებისმიერი ეკონომიკის პირობებში მაკროეკონომიკური მართვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გამოიყენება ბიუჯეტები (სახელმწიფო და მუნიციპალური). მათი მეშვეობით რეგულირდება შემოსავალ-გასავლების სტრუქტურა და მოცულობები, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს წარმოების რეგიონულ და დარგობრივ სტრუქტურებზე, სოციალური სფეროს რესურსული უზრუნველყოფისა და განვითარების დონეზე, შიდა და საგარეო ვალების სიდიდეზე, გადასახადების სახეების, ტარიფების სიდიდის დადგენით სახელმწიფო უზრუნველყოფის ფულადი სახსრებით ბიუჯეტის ჩამოყალიბებას, ქმნის თავისი შემოსავლების ფინანსურ წყაროებს, არეგულირებს შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსებას. ამავე დროს საგადასახადო შეღავათების დაწესება სხვადასხვა სახის საწარმოო საქმიანობაზე წარმოადგენს წარმოების სტიმულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, განსაკუთრებით დიდია მისი როლი ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვის სამუშაოთა გააქტიურების საქმეში. ასევე სოციალურ-კულტურული სფეროს ორგანიზაციების და ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთის შემცირება ან მისგან გათავისუფლება სოციალური საკითხების რეგულირების ინსტრუმენტია.

ეკონომიკის (როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე) მართვის ერთ-ერთ უნივერსალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ფასები, ფართო გაგებით მასში იგულისხმება ერთობლიობა საქონლის ფასების, მომსახურების ტარიფების, შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთების, კრედიტების პროცენტული განაკვეთების, სავალუტო კურსების, ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსის, საარენდო გადასახადისა და სხვა. ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკაში, სახელმწიფო აწესებს რა ფასებს საქონელზე, სამუშაოებზე, მომსახურებაზე, შრომაზე ახდენს მმართველობით ზემოქმედებას ღირებულებით პროპორციუბზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე, გავლენას ახდენს მოხმარების პროცესებზე, არეგულირებს

ცალკეული წარმოებების მომგებიანობას. მომხმარებელთა და მყიდველთა ცალკეული კატეგორიებისათვის შესასყიდი ფასების, ასევე სხვადასხვა კატეგორიების მუშაკებისათვის სამუშაო ძალის ფასების დიფერენცირებით სახელმწიფო ატარებს სოციალურ პოლიტიკას, ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა შემოსავლებზე, ხარჯებზე, ცხოვრების დონეზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფასები, როგორც მართვის ინსტრუმენტი, თავის ზემოქმედებას უფრო მეტად ამჟღავნებს მიკროეკონომიკურ დონეზე, რამდენადაც სახელმწიფო ორგანოები მოკლებული არიან თავიანთი შეხედულებით ფასების დაწესების შესაძლებლობას, ვინაიდან მას არეგულირებს ბაზარი. ამასთან ერთად საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ადგენს სატარიფო განაკვეთებს და შრომის ანაზღაურების ტარიფებს, არეგულირებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გასაყიდ ფასებს, განსაზღვრავს სახელმწიფო მომსახურების ტარიფებს, ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსზე, საბანკო კრედიტის განაკვეთზე (რეფინანსირების განაკვეთის მეშვეობით). სახელმწიფო იყენებს ფასებს აგრეთვე როგორც მართვის ინსტრუმენტს საფასო შეზღუდვების დაწესებით საბაზრო ეკონომიკაში ფორმირებადი ფასების მიმართ. პირველ რიგში შეზღუდვები წესდება ბუნებრივი მონოპოლიების ფასებზე, აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ შეზღუდვები ფასებზე დასაშვები ზედა ზღვარის დადგენით საქონელზეც, მატერიალურ და სულიერ ფასეულობებზე, ქონებაზე. ფართოდ არის გავრცელებული სახელმწიფო საფასო რეგულირება სახელმწიფო დოტაციების მეშვეობით, რასაც უხდიან მწარმოებლებს, გამყიდველებს იმ პირობით, რომ ისინი ადეკვატურად შეამცირებენ საქონელსა და მომსახურებაზე ფასებს გასაღების ბაზრებზე. ასე რომ სახელმწიფო მხარდაჭერა მწარმოებლებისადმი გადაიქცევა ბერკეტად საბაზრო ფასების ზრდის შეკავებისა და თვით შემცირებისაც კი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაკროეკონომიკური მართვის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება არამარტო ის ზემოქმედებანი, რომლებიც დადებით მასტიმულირებელ შედეგებს იძლევიან, არამედ გამოიყენება აგრეთვე დასჯის ინსტრუმენტები ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ჯარიმების, სანქციების სახით, ასევე ადმინისტრაციული ზომების მრავალი სახე.

მიკროეკონომიკურ დონეს მიეკუთვნება ეკონომიკის საწარმოო და სოციალური სფეროს, მსხვილი კორპორაციების, კომპანიების, ფირმების, საწარმოების და ორგანიზაციების, მცირე მეწარმო-



ბის სტრუქტურების მართვა, ასევე იგი ეხება და ნაწილობრივ მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება მცირე მასშტაბის ობიექტებში და საოჯახო მეურნეობაში. მიკროეკონომიკური მართვის ინსტრუმენტები გამოიყენება ძირითადად კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ საწარმოო კოოპერაციების, ამხანაგობების, საზოგადოებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფონდების, ასოციაციების, კავშირების, ერთობლივი საწარმოების სახით. დოკუმენტურ ფორმებს, რომლებიც გამოიყენება მართვის ინსტრუმენტებად, მიეკუთვნება დებულებები, დამფუძნებელი ხელშეკრულებები, წესდებები, ლიცენზიები.

სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტები მიკროეკონომიკურ დონეზე უფრო ხშირად წარმოდგენილია გრძელვადიანი კონცეფციების, პერსპექტიული გეგმების, პროგრამების, პროექტების სახით, რომელიც მუშავდება და გამოიყენება სამეურნეო სუბიექტის მიერ ანალიზებისა და პროგნოზების, ბაზრის კონიუნქტურის, მოსალოდნელი რესურსული შესაძლებლობების, მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე.

ოპერატიული მართვის ინსტრუმენტები მიკროეკონომიკურ დონეზე ჩვეულებრივ შემოიფარგლება მიმდინარე გეგმებისა და საწარმოო პროგრამების, საგეგმო ბიუჯეტისა და ბალანსების სახით. გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მიმდინარე მიკროეკონომიკური მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება ხელშეკრულებები სხვა სამეურნეო სუბიექტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან მომხმარებლებთან, მართვის სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან. შიგა მართვის ინსტრუმენტებს წარმოადგენს თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, კონტრაქტები. მიმდინარე სიტუაციური მართვა მიკროდონეზე რეალიზდება ისეთი ფართოდ გავრცელებული დოკუმენტური ფორმის სახით, როგორიცაა ბრძანებები. შიდა მართვაში გამოიყენება საერთო და ინდივიდუალური სამსახურებრივი ინსტრუქციები, სამსახურებრივი ქცევების წესები და ნორმები, მუშაობის განრიგი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი დოკუმენტებისა, რომლებიც წარმოადგენენ მიკროეკონომიკური მართვის ინსტრუმენტებს, ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ე.წ. **ეკონომიკური და ორგანიზაციული ინსტრუმენტები** მიკროეკონომიკურ დონეზე. მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების ანალოგიურად ასეთი ინსტრუმენტები იყოფა პირდაპირი და არაპირდაპირი მართვის ინსტრუმენტებად. პირდაპირი მართვის ინსტრუმენტები უფრო მეტად გამოიყენება მიკროეკონომიკურ დონეზე, ვინაიდან სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელებს (მესაკუთრეები, მენეჯერები, მმართველები) აქვთ შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილებები სამართავ ობიექტზე, პროცესებზე მმართველობითი ზემოქმედებისათვის. მაგრამ ცხადია, რომ სამეურნეო ობიექტის ხელმძღვანელებს არ გააჩნიათ სრული თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას, ეს იმიტომ ისინი ვალდებული არიან არ გავიდნენ მოქმედების ზონის იმ ჩარჩოებიდან, რომელიც დადგენილია ისეთი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტებით, როგორიცაა, კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები. ასევე ისინი იძულებული არიან გაითვალისწინონ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, ბაზრის კონიუნქტურა, რესურსული შეზღუდულობა, ეკოლოგია, რისკები, საგადასახადო ტვირთი. შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ხელმძღვანელები ახდენენ ოპერატიულ დაგეგმვას და რეგულირებას, იღებენ ორიენტირებას ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეფექტიანობის ზრდაზე, რესურსების ეკონომიაზე, მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე. ხელმძღვანელის ხელში განსაკუთრებით აქტიური მიკროეკონომიკური ინსტრუმენტია მუშაკთა ხელფასების დაწესება. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ხელმძღვანელი ახდენს თანამშრომელთა ხელფასების ვარირებას მუშაობის ეფექტიანობის და ხარისხის შესაბამისად; განსაკუთრებით ძლიერქმედითაა ეს ინსტრუმენტი პრემიებისა და დანაშაულების სახით მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისას.

მიკროეკონომიკური მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ორგანიზაციის კადრების მომზადება და გადამზადება, მათი პროფესიონალური და კვალიფიკაციური დონის ამაღლება. ამ საკითხის მაღალ დონეზე დაყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს ორგანიზაციის მართვის ხარისხს და ეფექტიანობას.

მიკროეკონომიკური მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ორგანიზაციის კადრების მომზადება და გადამზადება, მათი პროფესიონალური და კვალიფიკაციური დონის ამაღლება. ამ საკითხის მაღალ დონეზე დაყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს ორგანიზაციის მართვის ხარისხს და ეფექტიანობას.

ზემოთ აღნიშნულ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს ნებისმიერ ორგანიზაციაში თან ერწყმის ისეთი ორგანიზაციული ინსტრუმენტები, როგორიცაა, მუშაკთა თანამდებობრივი დანიშვნები და გადაადგილებები, ადმინისტრაციული სასჯელები, სამუშაოდან გათავისუფლება, ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნა, ძველის ლიკვიდაცია, ქვედანაყოფის და მუშაკთა ფუნქციების და პროფილის შეცვლა. რა თქმა უნდა, ყველა აღნიშნული და მსგავსი ორგანიზაციული ინსტრუმენტი შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის კოდექსთან და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებთან.



დასკვნა

ეკონომიკის მართვის პროცესი ხორციელდება მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე ზემოქმედებით კონკრეტული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. მართვის ინსტრუმენტები არის მმართველობითი ზემოქმედებების, გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციის მხარდაჭერის, გამაგრების, უზრუნველყოფის ხერხები და საშუალებები. მართვის რეალიზება სწორედ მართვის ინსტრუმენტების მეშვეობით ხორციელდება. არსებობენ მართვის საერთო, უნივერსალური ინსტრუმენტები კანონების, დებულებების, წესების, ნორმების, ინსტრუქციების სახით, რომლებიც გამაგრებული არიან მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, მაგრამ რიგ შემთხვევაში მართვის სუბიექტი მოვალეა შექმნას მართვის ლოკალური ინსტრუმენტი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად. ასეთ ინსტრუმენტებს გააჩნიათ დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციების, ხელშეკრულებების, წახალისების, დასჯის, სანქციების ფორმები და ემსახურებიან გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციას.

მართვის ინსტრუმენტები მაკროეკონომიკურ დონეზე მოიცავს მთლიანად ქვეყნის ეროვნულ

ლი მეურნეობის, რეგიონების, საწარმოო და სოციალურ-კულტურული სფეროს ეკონომიკის მართვის საშუალებებს. ისინი ზემოქმედებას ახდენენ მიკროეკონომიკური დონის ობიექტებზე და პროცესებზე. ასე მაგალითად, გადასახადები მაკროეკონომიკური მართვის ინსტრუმენტია, მაგრამ იგი ახდენს მმართველობით ზემოქმედებას ყველა გადასახადის გადამხდელ მიკროეკონომიკურ ობიექტზე სხვადასხვა სახით.

მიკროეკონომიკურ დონეს მიეკუთვნება ეკონომიკის საწარმოო და სოციალური სფეროს, მსხვილი კორპორაციების, კომპანიების, ფირმების, საწარმოების და ორგანიზაციების სტრუქტურების მართვა, გამოიყენება, როგორც სტრატეგიული ისე ოპერატიული მართვის ინსტრუმენტები. სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტები უფრო ხშირად წარმოდგენილია გრძელვადიანი კონცეფციების, პერსპექტიული გეგმების, პროგრამების, პროექტების სახით. ოპერატიული მართვის ინსტრუმენტები ჩვეულებრივ წარმოდგენილია მიმდინარე გეგმებისა და საწარმოო პროგრამების, საგეგმო ბიუჯეტისა და ბალანსების სახით. ასევე მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ხელშეკრულებები სხვა სამეურნეო სუბიექტებთან, მომხმარებლებთან, მართვის სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, 2001.
2. ანზორ აბრალავა, ლუარა გვაჯაია, რუსუდან ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი, 2015.
3. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, გ. ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
4. Экономика предприятия. Под редакцией В.А.Горфинкеля и В. А.Швандера. Москва, 2001.
5. Б. А. Райзберг. Курс управления экономикой. Москва. 2003 г.

INSTRUMENTS OF MANAGEMENT OF ECONOMY

LUARA GVAJIA – Associate Professor of GTU

E-mail: luara.gvajaia@mail.ru

KETEVAN SHONIA – Teacher of Qutaisi state University

Summary

The article considers the instruments of management of economy, as means and techniques of management subject's directive influence and practical realization of decisions. Instruments of management are used for achievement of goals and solution of problems of management subject, as well as for management of processes that are necessary to practically make influence on management object.

Universal and local instruments of management are considered. The basic instruments of management are legislative and normative-judicative acts at the scale of macroeconomics. One of the most important instruments are changing form of property for industrial means, state budget, regulation of prices on certain goods by state, etc. The article also considers strategic and operative instruments of management at the scale of macroeconomics.

Keywords: instruments, management, economy, subject, object, techniques, means, realization, influence, macroeconomic, microeconomic, local, universal, regulation, market economy, prices, advertisement.